

SECTION PLANE გვევთი სიბრტყე

ნანა ნოზაძე, გოჩა ჩიტაიშვილი, ქეთევან ჭკუასელი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

AutoCAD-ის საშუალებით შესაძლებელია სამგანზომილებიანი ობიექტების შექმნა მოდიფიცირება და გამოყენება, ასევე იზომეტრიული ბრტყელი კვეთის მიღება. ხელსაწყო **Section Plane**-ი (მკვეთი სიბრტყე) ქმნის სიბრტყეს, რომელიც განსაზღვრავს მკვეთი სიბრტყის ადგილმდებარეობას. მისი საშუალებით შეგვიძლია შექმნილი ობიექტების შიგა ფორმების ვიზუალიზაცია.

საკვანძო სიტყვები: AutoCAD. სამგანზომილებიანი ობიექტები. Section Plane. იზომეტრიული ვეთი. ვიზუალიზაცია.

1. შესავალი

ვიზუალიზაციის ერთ-ერთ ხელსაწყოს წარმოადგენს **Section Plane** (მკვეთი სიბრტყე). მისი მეშვეობით შეგვიძლია შექმნილი ობიექტების შიგა ფორმების ვიზუალიზაცია. ეს ხელსაწყო ქმნის სიბრტყეს, რომელიც განსაზღვრავს მკვეთი სიბრტყის ადგილმდებარეობას. განვიხილოთ ერთ-ერთი ამოცანა ამ ხელსაწყოს მუშაობის პრინციპის გამოყენებით. მივუთითოთ **Visual Styles** (ვიზუალიზაციის სტილი) **Realistic** (რეალისტური)

Tabs⇒Home⇒Ribbon⇒View⇒Realistic ან

Tabs⇒View⇒Ribbon⇒Visual Styles⇒Realistic


ხოლო შემდეგ გამოვიძახოთ ხელსაწყო **Section Plane** (მკვეთი სიბრტყე)

Tabs ⇒ Home ⇒ Ribbon ⇒ Section ⇒ Section Plane ან


კლავიატურის საშუალებით ავტომატურად **sectionplane ⇒ Enter**

ბრძანებების სტრიქონში გამოჩნდება შემდეგი მითითება:

sectionplane Select face or any point to locate section line or [Draw section/Orthographic]: (მკვეთი სიბრტყე) შეარჩიე სახე (წახაგი) ან ნებისმიერი წერტილი მკვეთი ხაზის განთავსებისათვის ან [დახაზე მკვეთი/ორთოგრაფიკული]:).



ნახ.1




ნახ.2

კურსორი მივუახლოვოთ დეტალის წინა სიბრტყეს ისე, როგორც ნაჩვენებია 1-ელ ნახაზზე, რის შემდეგაც გამოჩნდება მკვეთი სიბრტყე, ამ დროს სტატუსის სტრიქონში გამორთული უნდა

გვქონდეს **Object snap** (ობიექტზე მიბმა)

 და **Object Snap Tracking (OTRACK)** (ობიექტის მიბმის კურსი) . თაგუს მარცხნა ღილაკზე დაწკაპუნებით დავაფიქსიროთ მკვეთი სიბრტყე (ნახ.2). მოვნიშნოთ მკვეთი სიბრტყე და თაგუნას მარჯვენა ღილაკზე დაწკაპუნებით გამოვიძახოთ კონტექსტური მენიუ და ალამი დავუსვათ **Activate live sectioning-ს** (გააქტიურე ცოცხალი ჭრა) (ნახ.3). რის შემდეგაც მკვეთ სიბრტყეში გამოჩნდება **Move gizmo** (გადაადგილების ხელსაწყო, რომელიც მწვანე, წითელი და ყვითელი ფერისაა, ნახ.4) მივიტანოთ კურსორი მწვანე ისართან დავაწკაპუნოთ მასზე, (ნახ.5, **Move gizmo** (გადაადგილების ხელსაწყო) ლურჯ წრეწირშია


განთავსებული). კურსორი მივუახლოვოთ დეტალის წინა სიბრტყეს ისე, როგორც ნაჩვენებია მე-2 ნახაზზე, რის შემდეგაც გამოჩნდება მკვეთი სიბრტყე, ამ დროს სტატუსის სტრიქონში გამორთული უნდა გვქონდეს **Object snap** (ობიექტზე მიბმა)  და **Object Snap Tracking (OTRACK)** (ობიექტის მიბმის კურსი) .



ნახ.3

ნახ.4

თაგუს მარცხნა ღილაკზე დაწერაპუნებით დაგვაფიქსიროთ მკვეთი სიბრტყე (ნახ.2). მოვნიშნოთ მკვეთი სიბრტყე და თაგუს მარჯვენა ღილაკზე დაწერაპუნებით გამოვიძახოთ კონტექსტური მენიუ და ალაბი დაგუსათ **Activate live sectioning-is** (გააქტიურე ცოცხალი ჭრა) (ნახ.3). რის შემდეგაც მკვეთ სიბრტყეში გამოჩნდება **Move gizmo** (გადაადგილების ხელსაწყო, რომელიც მწვანე, წითელი და ყვითელი ფერისაა) მივიტანოთ კურსორი მწვანე ისართან დაგაწერაპუნოთ მასზე, (ნახ.5, **Move gizmo** (გადაადგილების ხელსაწყო) ლურჯ წრეწირშია განთავსებული), იგი შეიცვლის ფერს და გახდება ყვითელი, მისი გადაადგილებით გადაადგილდება მკვეთი სიბრტყეც და დავინახავთ ამ სიბრტყეში არსებულ კვეთის წირის გეომეტრიას (ნახ.4 ნახ.5).



ნახ.5


შენიშვნა: აქვე ავლნიშნოთ, რომ, თუ მკვეთ სიბრტყეზე (*Section Plane*) მივიტანოთ კურსორს და ორჯერ დაგაწერაპუნებთ თაგუს მარცხნა ღილაკზე, გამოირთვება *Activate live sectioning* (გააქტიურე ცოცხალი ჭრა) და ობიექტი გამოილობა. ოპერაციის განმეორება გამოიწვევს *Activate live sectioning-is* (გააქტიურე ცოცხალი ჭრა) ჩართვას და კვლავ გამოჩნდება კვეთის წირის გეომეტრია.

Section Plane-ის (მკვეთ სიბრტყეზე) მეშვეობით შესაძლებელია საფეხუროვანი ჭრის შესრულებაც, რომელიც საშუალებას გავძლევს შევქმნათ რთული მკვეთი სიბრტყე.



მოვნიშნოთ მკვეთი სიბრტყე და თაგუს მარჯვენა ღილაკზე დაწერაპუნებით გამოვიძახოთ კონტექსტური მენიუ და გავააქტიუროთ ფუნქცია **Add jog to section** (დაამატე საფეხური მკვეთს) (ნახ.6). მისი გააქტიურების შემდეგ ბრძანებების სტრიქონში გამოჩნდება შემდეგი მითითება: **Specify a point on the section line to add jog:** (შეარჩიე წერტილი მკვეთ წრფეზე, რომ დაამატო საფეხური:) ყურადღება მივაქციოთ იმას, რომ ამ დროს სტატუსის სტრიქონში **Object Snap**-ში (ობიექტზე მიბმა) ჩართული იყოს ობიექტზე მიბმის ფუნქცია **Nearest** (უახლოესი).

ამის შემდეგ მივიტანოთ კურსორი მკვეთ ხაზთან სასურველ ადგილას და დაგაწერაპუნოთ თაგუს მარცხნა ღილაკზე. შედეგად მკვეთ სიბრტყეს გაუჩნდება საფეხური, იგივე ოპერაციის

გამეორებით შეგვიძლია მკვეთ სიბრტყეს დავამატოთ სასურველი რაოდენობის საფეხურები. ხოლო მკვეთი სიბრტყის მონიშვნის (გააქტიურების) შემდეგ მკვეთ ხაზს გაუჩნდება ლურჯი სახელურები, სამუშაოთა სახელურზე დაწკაპუნების შემდეგ იგი გააქტიურდება და მისი გადაწყვით გადაადგილდება მკვეთი სიბრტყე, რომელიც დავაფიქსიროთ სასურველ ადგილას (ნახ.7,9) კვლავ თაგუს მარცხენა ღილაკზე დაწკაპუნებით. ოპერაციიდან გამოსვლა ხორციელდება კლავიშით Esc.




ნახ.6




ნახ.7

შენიშვნა: საფეხუროვანი ჭრის შესრულების დროს ყურადღება მივაქციოთ იმას, რომ კონტექსტურ მენუში გამორთული (მოხსნილი იყოს ალაბი) უნდა იყოს ფუნქცია Show cut-away geometry (აჩვენე მოჭრილის გეომეტრია).



ნახ.8



ნახ.9




საფეხუროვანი ჭრის შესრულება შესაძლებელია არა მარტო კონტექსტური მენიუს საშუალებით, არამედ ზოლში (Ribbon) მდებარე პალიტრის Section Plane-ის (მკვეთი სიბრტყე) საშუალებითაც (ნახ.10).


Tabs \Rightarrow Home \Rightarrow Ribbon \Rightarrow Section \Rightarrow Section \Rightarrow Add Jog



ნახ.10




ნახ.11




ნახ.12

მკვეთი სიბრტყის მონიშვნის შემდეგ მკვეთ ხაზზე გამოჩნდება ლურჯი ისარი (ნახ.6.11, 12), რომელიც განსაზღვრავს მზერის მიმართულებას. მასთან კურსორის მიახლოებისას იგი შეიცვლის ფერს და გაწითლდება. თაგუს მარცხნა ღილაკზე დაწკაპუნების შემდეგ ისარი შეიცვლის მიმართულებას და შეიცვლება მზერის მიმართულებაც (ნახ.12). აქვე ავღნიშნოთ, რომ ამ ოპერაციის შესრულების დროს, თუ ჩართული იქნება ფუნქცია **Activate live sectioning** (გააქტიურე ცოცხალი ჭრა), მაშინ მივიღებთ მე-12 ნახაზზე ნაჩვენებ გამოსახულებას.



ნახ.13




ნახ.14

თუ კარგად დავაკვირდებით მკვეთ სიბრტყეს, დავინახავთ კიდევ ერთ ისარს , რომელზე დაწკაპუნების შემდგაც გამოჩნდება კონტექსტური მენუს სადაც გვექნება კვეთის საზღვრების ვიზუალიზაციის შერჩევის საშუალება (ნახ.13). ესენია: **Section Plane** მკვეთი სიბრტყე, **Section Boundary** კვეთის საზღვარი, **Section Volume** კვეთის მოცულობა.


Section Plane (მკვეთი სიბრტყე) ამ პარამეტრზე ზემოთ გვქონდა საუბარი ახლა განვიხილოთ დანარჩენი ორი პარამეტრი.

Section Boundary (კვეთის საზღვარი) მასზე დაწკაპუნების შემდეგ გამოჩნდება ახალი საზღვარი, მასზე განთავსებული სახელურებით (ნახ.14). სახელურებისა და ისრების გადაადგილებით შესაძლებელია მკვეთი სიბრტყის საზროვნის შეცვლა. კლავიშზე **Esc** (გაქცევა) დაწკაპუნების შემდეგ გამოვდივართ ოპერაციიდან მაგრამ სურათზე რჩება მკვეთი სიბრტყის საზღვრები.

Section Volume (კვეთის მოცულობა) გვიჩვენებს მკვეთი სიბრტყის მოცულობით საზღვარს (ნახ.15). და მათზე განთავსებული სახელურებისა და ისრების მეშვეობით შესაძლებელია მკვეთი სიბრტყის მოცულობის შეცვლა.



ნახ.15



ნახ.16

ნახ.17

დასასრულ, ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ იმ ობიექტების ასლი, რომლებიც განთავსებულია მკვეთი სიბრტყის წინ ან უკან.

ლიტერატურა:

1. Finkelstein E. AutoCAD® 2012 & AutoCAD LT® Bible Published by Wiley Publishing, Inc. 10475 Crosspoint Boulevard Indianapolis, In 46256. 2012
2. Byrnes D. AutoCAD® 2012 FOR DUMMIES® Published by Wiley Publishing, Inc. 111 River Wt. Hoboken, NJ 07030-5774 Copyright. Wiley Publishing, Inc., Indianapolis, Indiana Published simultaneously in Canada, © 2011

SECTION PLANE

Nozadze Nana, Chitaishvili Gocha, Chkuaseli Ketevan
Georgian Technical University

Summary

Through **AutoCAD** you can create, modify and use of three-dimensional objects and obtain an isometric cross-sectional plane. Visualization device **Section Plane** creates a plane that determines the location of the section plane. Through it we can perform the visualization of internal forms of objects.

SECTION PLANE - СЕКУЩАЯ ПЛОСКОСТЬ

Нозадзе Нана, Читаишвили Гоча, Чкуасели Кетеван
Грузинский Технический Университет

Резюме

Посредством **AutoCAD** возможно создание, модификация и применение трехмерных объектов, а также получение изометрической плоскости сечения. Прибор визуализации **Section Plane** (секущая плоскость) создает плоскость, которая определяет местоположение секущей плоскости. Посредством нее можно осуществлять визуализацию внутренних форм объектов.